ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
გიორგი ტურაზაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე
ნათია კორკოტაძე – კოლეგიის წევრი
თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ე. ა.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.02.2014
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 024/14
ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – გ. ე. /სიითი # /
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. ე-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2014 წლის 25 თებერვალს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ე. ა-ის წარმომადგენელმა ა. კ-მა და მოითხოვა ადვოკატ გ. ე-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განცხადებით, ე. ა-სა და გ. ე-ეს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო 2011 წლის 02 დეკემბერს. ადვოკატს უნდა ეწარმოებინა საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების მოთხოვნით. ქონება დაყადაღებული იყო საჩივრის ავტორის ძმის საქმესთან დაკავშირებით.

1.3 პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ე. ა-ის სარჩელის დაკმაყოფილების შემდეგ მისმა პროცესუალურმა მოწინააღმდეგემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. ადვოკატმა, ინფორმირებულობის მიუხედავად, არ წარადგინა შესაგებელი საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის დაცვით, რის გამოც ე. ა-ის პროცესუალური მოწინააღმდეგის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. ა. კ. აღნიშნავს, რომ ადვოკატმა გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით სააპელაციო სასამართლოს მიმართა არაკვალიფიციური განცხადებით, ასევე, გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის დარღვევით.

1.4 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, გ. ე-ემ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში, თუმცა, შეადგინა არაკვალიფიციური საჩივარი. ასევე, ა. კ. აღნიშნავს, რომ ადვოკატმა არ იცოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა. ადვოკატის ქმედებებმა საჩივრის ავტორს მატერიალური ზიანი მიაყენა.

1.5 მესამე დისციპლინური კოლეგიის განხილვის სხდომა გაიმართა 2014 წლის 22 ოქტომბერს. საჩივრის ავტორის წარმომადგენელი, ინფორმირების მიუხედავად, სხდომაზე, საკუთარი სურვილით, არ გამოცხადდა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა გ. ე-ემ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2014 წლის 10 მარტს. ადვოკატის განცხადებით, 2011 წელს მიმართა საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა ა. კ-მა და სთხოვა იურიდიული დახმარების გაწევა სარჩელის დაწერასა და მის სასამართლოში წარდგენის საკითხში. საქმე ეხებოდა ა. კ-ის შვილის მიერ განხორციელებულ ავტოსაგზაო შემთხვევას, რის შედეგადაც მას დაეკისრა დაახლოებით 3500 (სამიათას ხუთასი) ლარის გადახდა სადაზღვევო კომპანიის სასარგებლოდ. ყადაღა დაედო საჩივრის ავტორის სახლში არსებულ ნივთებს. გ. ე. აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორს მისთვის არ გადაუხდია საადვოკატო მომსახურების თანხა.

2.2 ადვოკატის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს სხდომამდე გადაიტანა იშემიური ინსულტი, რა მიზეზითაც ვერ წარადგინა სააპელაციო შესაგებელი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. ამ მიზეზით, სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა ე. ა-ის პროცესუალური მოწინააღმდეგის სააპელაციო საჩივარი. ადვოკატის განცხადებით, იგი შეთანხმდა საჩივრის ავტორის წარმომადგენელთან, რომ აუქციონზე გამოისყიდიდა საჩივრის ავტორის ყადაღადადებულ ნივთებს. ა. კ. ითხოვდა აღნიშნული ქმედების სწრაფ განხორციელებას, მიუხედავად იმისა, რომ ნივთების აუქციონზე გატანის კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადა არ იყო გასული. 2014 წლის იანვარში, საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა ადვოკატს მოსთხოვა 5000 (ხუთი ათასი) ლარის გადახდა, მიუხედავად იმისა, რომ ნივთები რეალურად შეძენილი იყო 1400 (ათას ოთხას) ლარად და, ამავდროულად, ისინი არ იყო გატანილი აუქციონზე. გ. ე-ის განცხადებით, მას ა. კ. დაემუქრა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივრით მიმართავდა ეთიკის კომისიას.

2.3 2014 წლის 11 აპრილს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გ. ე-ემ დაადასტურა, რომ გაუშვა სააპელაციო შესაგებლის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა, თუმცა, მან ეს ქმედება განახორციელა არა განზრახ, არამედ ავადმყოფობის მიზეზით. ასევე, ადვოკატის განმარტებით, იგი ცდილობდა საჩივრის ავტორის ნივთების გამოსყიდვას, თუმცა, ა. კ-მა მოითხოვა შეუსაბამოდ მაღალი თანხა.

2.4 მესამე დისციპლინური კოლეგიის განხილვის სხდომა გაიმართა 2014 წლის 22 ოქტომბერს. ადვოკატის განცხადებით, მან ვერ წარმოადგინა ეთიკის კომისიაში ჯანმრთელობის ცნობა, ვინაიდან შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი და ნივთებისა და დოკუმენტაციის გადატანის პროცესშია.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მისი ყოფილი კლიენტის ინტერესებს მიადგა ზიანი, რადგან გ. ე-ემ ვერ წარადგინა შესაგებელი განსაზღვრულ ვადაში, თუმცა, ეს გამოწვეული იყო ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით და არ იყო განზრახი ქმედება. სწორედ ამ მიზეზის გამო, ადვოკატის განცხადებით, მისი ქმედების შედეგად, ზოგადად, ადვოკატის პროფესიას ზიანი არ მიადგა.

2.6 ადვოკატის განცხადებით, მან, ავადმყოფობის მიზეზით, შესაგებლის ფოსტით გაგზავნა გადაწყვიტა გასაჩივრების ვადის ბოლო დღეს. ადვოკატის განმარტებით, ფოსტა, რომლის მეშვეობითაც სურდა სააპელაციო შესაგებლის გაგზავნა, აღარ ფუნქციონირებდა, ხოლო უახლოესი ფოსტით გაგზავნა მის დაკეტვამდე ვერ მოასწრო. ადვოკატი აღნიშნავს, რომ ვერ გააცნობიერა პირდაპირ სააპელაციო სასამართლოში მისვლისა და სააპელაციო შესაგებლის ჩაბარების შესაძლებლობა.

2.7 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა ა. კ-მა სარჩელით მიმართა სასამართლოს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით და მოითხოვა გ. ე-ისათვის 5 000 (ხუთი ათასი) ლარის გადახდის დაკისრება. სასამართლომ დააკმაყოფილა ა. კ-ის სარჩელი. ადვოკატის განმარტებით, მას სასამართლოს ეს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2014 წლის 16 აპრილს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ გ. ე-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა გ. ე-ემ დადგენილ ვადაში არ წარადგინა შესაგებელი თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რის შედეგად დაირღვა მისი კლიენტის ინტერესები, ადვოკატ გ. ე-ის მხრიდან შესაძლოა დარღვეულად ჩათვლილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

3.3 საპროცესო კოლეგიის განცხადებით, ადვოკატ გ. ე-ეს, ჩაბარდა სააპელაციო საჩივარი, რომელიც წარდგენილი იქნა მოპასუხე შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ი-ს მიერ და რომელიც გადაგზავნილი იქნა მისთვის, როგორც მოსარჩელის წარმომადგენლისათვის. სააპელაციო საჩივარი წარდგენილი და ჩაბარებული იქნა ადვოკატ გ. ე-ისათვის 2012 წლის 26 სექტემბერს. გ. ე-ის მიერ ვერ იქნა წარდგენილი სააპელაციო შესაგებელი. ფაქტობრივი გარემოება, რომ კლიენტს, ე. ა-ს ზიანი მიადგა ადვოკატ გ. ე-ის უმოქმედობის გამო, სავარაუდოდ, საქმის მასალებიდან გამომდინარე, დასტურდება. აღნიშნულ გარემოებას თავად ადვოკატიც არ უარყოფს და აღნიშნავს, რომ სააპელაციო შესაგებლის წარდგენის ვადის გაშვების გამო მის კლიენტს ე. ა-ს მიადგა ზიანი და მის წინააღმდეგ გამოტანილი იქნა გადაწყვეტილება სარჩელზე უარის თქმის შესახებ.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1. ადვოკატსა და საჩივრის ავტორს შორის არსებობდა კონკრეტული შეთანხმება იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტებები, ს.ფ. 1-2, 39-41
2. 2011 წლის 02 დეკემბრის რწმუნებულება, ს.ფ. 03

4.1.2. შეთანხმების თანახმად ადვოკატს კანონით დადგენილ ვადაში უნდა გაესაჩივრებინა კლიენტის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტებები, ს.ფ. 1-2, 39-41
2. 2011 წლის 02 დეკემბრის რწმუნებულება, ს.ფ. 03

4.1.3. ადვოკატმა გადაწყვეტილება არ გაასაჩივრა. მიზეზი იყო მისი ავადმყოფობა და სააპელაციო საჩივრის არადროული გაგზავნით საქმისადმი დაუდევარი დამოკიდებულება გამოავლინა. (გასაჩივრების ვადის ბოლო დღეს მცდელობა საჩივარი ფოსტით გაეგზავნა)

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. კერძო საჩივარი, ს.ფ. 27-28
2. ადვოკატის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, ს.ფ. 29-30
3. ადვოკატის ახსნა-განმარტება, ს.ფ. 39-41

4.1.4. ადვოკატის მიერ პროფესიული მოვალეობის შეუსრულებლობის გამო საჩივრის ავტორს ზიანი მიადგა მომჩივანს ფულადი სახით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ს.ფ. 11-12
2. მხარეთა ახსნა-განმარტებები, ს.ფ. 1-2, 39-41

4.1.5. მომჩივანის წარმომადგენელმა ა. კ-მა სარჩელით მიმართა სასამართლოს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით და მოითხოვა ადვოკატ გ. ე-ისათვის 5 000 (ხუთი ათასი) ლარის გადახდის დაკისრება. სასამართლომ დააკმაყოფილა ა. კ-ის სარჩელი. ადვოკატს სასამართლოს ეს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები, ს.ფ. 1-2, 39-41

4.2. განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმეში არ არის სადავო ფაქტობრივი გარემოებები.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ გ. ე-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1. განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ გ. ე-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

6.1.1. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია: კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები.“

6.1.2. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

6.2. კლიენტის მიერ ადვოკატისთვის წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭებისას, ადვოკატი იღებს ვალდებულებას მისი სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული იმ საპროცესო მოქმედებებისა, რომელიც უშუალოდ მარწმუნებელმა უნდა განახორციელოს.

6.3. ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №066/10 კვალიფიციურ მომსახურებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით.“ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №074/10 ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ,,ადვოკატმა სარჩელის შეტანიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული.“

6.4. განხილვის კოლეგიის მოსაზრებით, ადვოკატ გ. ე-ის მიერ უმოქმედობით განხორციელებული იქნა არაპროფესიული შესაბამისად არაეთიკური ქცევა, რამაც გამოიწვია მომჩივანის ქონებრივი ზიანი-კლიენტის ინტერესების ზიანი, რის გამოც, შესაბამისად, ზიანი მიადგა ადვოკატის პროფესიას. ადვოკატის პროფესია ქმედითი ნაბიჯებისგან შედგება, მისი პროფესიული ბუნების მინიმალური მდგომარეობა არის ის რომ არ უნდა დაზიანდეს არც ერთ შემთხვევაში კლიენტის ინტერესი, საამისოდ ადვოკატმა ყველა კანონიერი გზა უნდა გამოიყენოს.

6.5. ეთიკის კომისიამ 2014 წლის 26 სექტემბრის №007/14 სარეკომენდაციო გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „ადვოკატის კლიენტთან შეუთანხმებელი ქმედება არა მხოლოდ კონკრეტული კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებად განიხილება და კონკრეტული კლიენტის ინტერესებსა და კონფიდენციალურ ინფორმაციას უქმნის საფრთხეს, არამედ ზოგადად ადვოკატთა პროფესიისადმი საზოგადობის უნდობლობის საწინდარიც შეიძლება გახდეს. ეთიკის კოდექსის პრეამბულა თითოეულ ადვოკატს, როგორც კორპორაციის

წარმომადგენელს, აკისრებს პროფესიულ და ზნეობრივ პასუხისმგებლობას, საზოგადოების წინაშე იმგვარად განახორციელონ პროფესიული საქმიანობა, რომ ხელი შეუწყონ ნდობის მოპოვებას ადვოკატის საქმიანობისადმი და საზოგადოდ პროფესიისადმი.“

6.6. განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატი გულმოდგინედ და პრინციპულად უნდა ახდენდეს კლიენტის ინტერესების გატარებას, რისთვისაც იგი იყენებს კანონს. კანონის გამოყენების პროცესში ადვოკატი უნდა ცდილობდეს საფრთხე არ შეექმნას კლიენტის ინტერესებს და დადგენილ ვადაში მოახდინოს შესაბამისი საჩივრის შეტანა, მეტიც მოახდინოს ამ ინტერესების ეფექტურად რეალიზება. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი დაუდევრად მოეკიდა საკუთარ პროფესიულ საქმიანობას და ამ კუთხით არ იყო მომართული კლიენტის ინტერესების მინიმუმ საფრთხის ასაცილებლად, რის გამოც არ იყო კეთილსინდისიერი. გარდა ამისა ადვოკატის პროფესიული უმოქმედობა - ფაქტიურად არ გასაჩივრება შემხებლობაშია ადვოკატის კვალიფიციურობასთანაც, რამეთუ ასეთი პროფესიული უმოქმედობა, პრინციპით -"არ დააზიანო" მიუთითებს ადვოკატის არაკვალიფიციურ ქცევაზე, რაც შემადგენელია არაპროფესიული ქცევისა. ამიტომ ნიშანდობლივია პროფესიული რეგულიაციის მიზანი - დაიცვას კლიენტის ინტერესი და პროფესია.

6.7. ადვოკატ გ. ე-ის მხრიდან დაირღვა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი. აღნიშნული რეგულაციები ადვოკატს ავალდებულებს კლიენტის ინტერესების წინაშე და საქმიანობისას იყოს კეთილსინდისიერი და კვალიფიციური.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20 მუხლებით, 35-ე მუხლით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ გ. ე-ის მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე საქართველოს უზენაეს სასამართლოში (ქ. თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. #32) არ საჩივრდება.

კომისიის თავმჯდომარე: /გიორგი ტურაზაშვილი/

კომისიის წევრი: /ნათია კორკოტაძე/

კომისიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/